



ხელის მოწვევა... განცხადებანი მიიღება... საქართველო... კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დღის 9-3-მდე, საღამოს 5-7-მდე.

განცხადების წესი: ჩვეულებრივი სტრუქტორი პირველ გვერდზე პეტითი ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამკლავ-ვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ელირება 5 მანეთი.

საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევიმდე ღირს 4 მან. 50 კ. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., აღრესის გამოცემა—40 კ. მოვადონებთ „კლდის“ იმ ხელის მოწვევით, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: გ. თბილისი, რედაქცია „საქართველო“, მოსკოვსკაია 4, პოჩ. ყაიხიკი 76.

იმ საზონელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმხვერკლავ ქართული თეატრი და თავად-აზნაურების სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინააღმდეგ შემთხვევაში, სასახლის ძ., თ.-ან. ძარბასლაში, იგი გამწვანებულ და გალამაზებულ სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხისაგან სასადილო-რესტორანების სტილით.

პირველხარისხიანი სასადილო „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაზე № 1. შავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საჭმელი დღის 9 საათიდან 12 საათამდე. საღამო 1—6 საათამდე. საღამო 2, 3 და 4 თაინი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა ხილის წყალო, ცხელი „პირუტყვი“. თვითრად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. საღამოს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღირს დღის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე. პატრისციემით რაჟდენ იხმელანია.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. მისამართი: კიკოძის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9.

მ. გ. რ. ში. კლინიკური იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს. აკაკის ქუჩა, შეფის აფთაქთან

ბაღაშვილის საწარმის განაგებნი საზოგადოებით და საწარმ განაგებნი მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰქისრულობს ი. თ. გვათუას პანსტორა ვერის დაღმართი № 1 ტელეფონი 17-05

ოგის დღიური

გიგონილვა კოვნი-რიგის მიმართულებას თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა. თავიდანვე რუსეთის საზღვრების სტრატეგიული მოსაზრება ხელსაყრელი არ იყო რუსის ჯარისთვის, რომლის ორივე წვერი უკან იყო გადმოხეული. ესა რუსის ჯარი ვარშავიდან უკან დახევით ასწორებს ბრძოლის პირს, მაგრამ გერმანელები ცდილობენ მარჯვენა წვერი რუსის ჯარისა ისევ გადმოხევიან, ისევ შეინარჩუნონ წინანდელი მოხაზულობა და მოვლის შექპართ ან აბოლონ პოლინიტიდან ჯარის გადმოყვანა კოვნი-რიგისკენ, ან თუ ბედმა გაუღიმა მათ, მოსკოვიან პეტროგრად-ვარშავის გზებზე დასავლეთით 15—20 ვერსზე. ლომის დასავლეთით ოსტროლენკამდე გერმანელებს მოუხერხებიათ ნარევის მარცხენა ნაპირზე დაბრუნება და წინ წამოწევა, ხოლო რა ხდება ოსტროლენკიდან ვარშავამდე—ნარევისა და ბუგის ნაპირებზე—დღევანდელ დებეშაში აბაფთვია ნათქვამი.

კავკასიის ჯარის შტაბისაგან გუშინ ცნობა არ მიგვიღია. „კავკასიის ლოკო“-ს სიტყვით, 20 ივლისს ჩვენსაგან არაა მიატრევა ალაშქრისა და ბაიანის ხეობებში ყარაქლისა და გამაგის სოფ. დარაბისა და სურბ-ოჰანესის ხაზით 10—15 ვერსით სამხრეთით სასურვისა. მ. ბ.—ლი.

დეკლარაცია

პეტროპოლისი, 22 ივლისი. ოფიციალი. უმაღლესი მთავარი ხარისხის განცხადება. ბაუსკ-რიგის მიმართულებით 21 ივლისს ბრძოლა წარმოებდა მდ. მისსზე. პონევეჟის აღმოსავლეთით გერმანელებმა ახალი ძალები მოიკრიბეს და იერიშებით წამოვიდნენ ამ რაიონში ბრწოლა ხან ერთსა და ხან მეორის საკეთილო ხასიათს იღებს. ნარევეზე 21 ივლისს რუსებმა მოიკრიბეს გერმანელთა დაუწინებელი იერიშები, რომელიც მათ კოლნო-ლომე-ს მიმართულებით მიჰქონდათ; ხოლო შვეიცის შენართავთან და მთელს ამ რაიონში რუსები სახტკი ბრძოლით იხვედნენ ახალ-ახალ ფრონტის გასაქვებლად.

დგებიან წერილები დარობებს. ვარშავიდან მოსკოვში გადმოიტანეს შემდეგი დაწესებულებანი: სასამართლო, საჯარო სასამართლო, უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური, საბავთლო ინსტიტუტი, სამოსწავლო ოლქი, ფოსტა, ცეცხლის მჭობელთა დაწესებულებანი. ვარშავის პოლიცია ჯარშია ჩარიცხული.

„რუსეთის ლოკო“-ს ლონდონიდან ატყობინებენ: „ტაიშის“ სამხედრო მომზადების სწრაფი: ბუნებრივია, რომ ზოგიერთი რუსი მებრძობი გვეთხვავენ თუ რას ვაკეთებთ დასავლეთის ფრონტზე. ჩვენი პასუხია—ვიკავებთ 2 მილიონ გერმანელს. რუსეთისთვის ხელსაყრელი არ იქნება ჩვენ ავანტურაში ჩაგებათ და სახიფათო ნაბიჯი გადავდგათ.

იტალიური გაზეთი „სტამპა“ დარდა-ნელის აღებას წვეცისთვის წინასწარი მტყუყვლობს. რომის კურის ოფიციალ ორგანო „ლოსტრეპატორე რომანო“-ში დაბეჭდილი იყო პაპი ბენედიქტე XV-ის მიმართება, ომის წლის თავის გამო, მეომარ სახელმწიფოთა მიმართ. პაპი მოითხოვს მძაბა სისხლის ღვრის მოსპობას, გათავებას ომისას, რომელსაც მხვეგრალად მიაქვს და ანადგურებს ევროპის საუკეთესო ადგილებს.

პაპი მიმართავს მებრძოლ ქვეყნების მთავრობებს და ურჩევს ეხსავე ზავის სასარგებლოდ მოლაპარაკების გამართვას „მსოფლიოს პოლიტიკურად თანასწორობისთვის ერთმანეთის გაგებას და პატრისციემას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ზარბაზნების და ციხესიმაგრეების რიცხვსა“-ო, დასვენს პაპი.

იტალიის ყველა გაზეთები იშვიათის ერთსულოვნობით მოკლედ და ცივად უარყოფენ პაპის მოწოდებას. ბ. ვ.

ვარშავის ადგილობრივმა მთავრობამ სამხედრო მინისტრის თანაშემწის ბელია-გისაგან 50,000 მანეთი მიიღო ქარხნების შიდა რუსეთში გადატანის საქმის მოსაწყობად. ეს ფული მიეცემა მექარხნებს ქარხნების გადატანის და ახალ ადგილებზე მოწყობისთვის საქირო ხარჯების დასაფარავად. ბ. ვ.

გაასი XIV ჩვენი ბედი...

სწორედ რომ სისხლის წვიმების დროს შეიკრიფა სახელმწიფო სათათბირო. მონარქმა აუწყა ქვეყანას,—მოსურს მოვისმინო „ხმა რუსის ერისაო“. სათათბირომ ეს ხმა ერისა უნდა მკაფიოდ სთქვას და იტყვის კიდევ, ამაზე დამოკიდებული ბედი უშველებელის იმპერიისა, პროგრესიული დასი იმასაც ამბობს, საქიროა შეუძლებელი პასუხისმგებლობა მთავრობას, ყველაფერს ხომ შავს არ მოვხვევთ კისრზე. ჩვენ, ერის წარმომადგენლები, ვაღიარებთ ვართ დამოუკიდებელი ვსთქვათ, რომ შხადა ვართ ვიცისროთ პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე, ხოლო ამას უნდა მოჰყვეს ისა, რომ აღმასრულებელი მთავრობა პასუხისმგებელი უნდა გახდეს ერის წარმომადგენელთა წინაშე. როგორც ჰხედავთ, დადა უკვე ეამი იწროებისა და განკითხვისა. საოხუნჯოდ, სააშკოდ, ან „სამასხაროდ“ არავის სკალობან. ბ-ნმა მინისტრებმა ფართოდ გაშალეს თვისი სამოქმედო გეგმა. ბ-ნმა ი. ლ. გორევიკინმა კათედრიდან გამოაცხადა, პოლინიტის მიენიჭება სრული ავტონომია ომის დასასრულის შემდეგ. ეს სიტყვა უბრალო სიტყვა არ გახლავთ. პირველად მესმის ეს სიტყვა მთავრობის კაცის პირიდან. სხვა ერებსაო, ბრძანა მი-

ნისტროსა საბჭოს თავმჯდომარემ, ალერსით და თავაზიანობით მოვეუბოთ, რადგან ყველანი იღვწიან და სისხლსა პლგრიან საერთო სამშობლოს კერაზეო. ისიც ბრძანა ბ-ნმა მინისტრმა, ბერის გამლეს ბევრივე მიეწყვისო. ასე რომ ომის დასრულების შემდეგ უნდა გამოიძიონ და გამოიკლიონ, რომელმა ერმა რა ჩაიდინა, რომ სასუვეზოდ მიეწყოს იმდენი ალერსი და თავაზიანობა. რის ღირსიც არის.

მეორე მინისტრმა ბ-ნმა საზონელმა უკვე დასასხვა ერთი პატარა ცრი. სომხეთა მოხალისენი მამაცურად იბრძვიან და ვიდრე ჩვენი ჯარი ჩავივლიდა ვანში, ვანელებმა ერთი თვე წინააღმდეგობა გაუყვეს ოსმალთაო. მართალია, არც ვანი და არც ვანელები ჩვენები არ არიან, ორივენი უცხო სახელმწიფოს ეკუთვნინან, მაგრამ მაინც საზონელმა საქიროდ დინახა მოგხენებინა უცხო ქვეყნოღონი და ენუგეშებინა, თქვენი ღვაწლი და გმირობა დაუფიქროვებელი არ დარჩებოა. ბარაქლას მეტს ვერას ვკადრებთ დეპუტატ პაპაჯანოვს მხენობისათვის. ისეთს დიდს უნარს იჩენს იგი, რომ ალაპარაკა მინისტრი მარტო ჩვენიანებზე კი არა, უცხო სახელმწიფოს ქვეყნებშიც იმეზღებდაც. რა ნაყოფს გამოიღებს სხვათა საქმეში ჩარევა, ეს არავინ უყვის. დღეს დღეობით არცაა საინტერესო ესა. საქმე ისაა, რომ მხენ და უნართან დეპუტატს ბევრის გაკეთება შეუძლიან.

ასეთს გარემოებაში, ამ განკითხვის დროს, რას აკეთებს ჩვენი დეპუტატი ბ-ნი ნ. ს. ჩხეიძე? რასა და იმას, რომ საკუთარი თავი სამასხაროდ გახადა, მისმა შეკითხვამ სოცილი და ხარხარი გამოიყვია სათათბიროს ცენტრისა და მემარჯვენეთა. რადაც საოცარი წმინდა იმერულ-მორაპნულ ხრიკებით დაეკატა სათათბიროს პრეზიდიუმს, „ნაკაში“ დაგირღვევათ, რატომ „უწყვედაში“ არაა აღნიშნული საქმე სოციალ-დემოკრატების ხუთის დეპუტატისა, რომლებიც 102 მუხლის ძალით არიან გასამართლებულნი და დასჯილინი. პირველი სიტყვა სათათბიროსა სწორედ ამ დეპუტატების შესახებ უნდა ყოფილიყო, თინაინობდა ჩვენი დეპუტატი.

თავმჯდომარე სათათბიროს ბ-ნი როდინკო თურმე სახტად დარჩა დეპუტატის-სეთის დატაკება-იერიშით. „ნაკაში“ რომელ დარღვევაზე ბრძანებს ბ-ნი ჩხეიძეო, უთქვამს როდინკოს, ვერ მიგხვდით. დღევანდელ დღის მუშაობის წეს-რიგის შემუშავების ბ-ნი ჩხეიძე კრებაზე ბრძანდებოდა, მონაწილეობას იღებდა „უწყების“ შედგენაში და ახლა რას გვედგება, ვერ გამოვიყო.

ერა ლტის წყრობაა, რა ჩვენი უბედურობაა, რომ ბურკევის მაიმდავილობაც და დასჯილ დეპუტატების ძიძობაც უსათუოდ ქართლ-კახეთის დეპუტატმა უნდა იკისროს? განა აღმოსავლეთ საქართველოს მეტი საზრუნავი და თავში სატუხი სხვა აღორა აქვს რა ვარა ბურკევის და 5 დეპუტატის დაბრუნებისა ციმბრიდან? განა ას სამოცდა ათ მილიონიან იმპერიამ კაცი აღარ მოიძებნება, რომ იზრუნოს და ივაივადალოს მათთვის? ათი ათასობით წახდა ქართველობა სამხრეთ საქართველოში, ამდენივე გადიხეწვა ოსმალეთში და მათთვის არ აუტყვია გული ქართველ დეპუტატს... მაშ ვინ უნდა უპატრონოს ჩვენი ერის უფლებას?

პრესა

„ხა. რენ.“-ში დაბეჭდილია დეპუტატის კ. ჩხეიძის საპასუხო წერილი თბილისის ქალაქის თავის ა. ხატისოვისადმი, რომელმაც ჩხეიძის წერილი და დეპუტატმა გაუგზავნა კავკასიის ერობის შესახებ. ბანი ჩხეიძე სწერს:

ვისაც კი ჩემი და კავკასიელი თანამოაზრეთა მოღვაწეობისათვის სახელმწიფო სათათბიროში თველი უდევნებია, ეკოდინება, რომ ჩვენ ვსარგებლობდით ყოველი შესაფერი შემთხვევით, რათა ხაზგასმით აღვგვეჩინა კავკასიაში ერობის შემოღების საქმე. მართალია ჩვენ არ გაუტაცინავართ ილიუზიას ჩვენი ქვეყნის ამ მნიშვნელოვანი საკითხის დაუყოვნებლო და დადებითი გადაწყვეტის შესახებ, ჩვენ არ ვიზიარებდით ადგილობრივ საზოგადო მოღვაწეობა ოპტიმიზმს, არა იმიტომ, რასაკვირველია, რომ მათი საბუთები კავკასიაში ერობის შემოღების საქმეზე გადაწყვეტის სასარგებლოდ დამარწმუნებელი არ ყოფილიყვნენ, არამედ იმიტომ, რომ რაც უფრო მეტი უტყუარი საბუთი და მტკიცება მოჰყავდა ამ დაწესებულების სასარგებლოდ, მით უფრო მეტი იჭურვებოდა მის წინააღმდეგ ისინი, ვისზედაც დამოკიდებული იყო საბოლოოდ ამ საკითხის ბედი.

ერობის მომხრენი კავკასიაში დაულაგად ამტკიცებდნენ, რომ ამ დაწესებულებას შეეძლო დახმარებოდა ადგილობრივ მცხოვრებელს, რათა გამოეჩინათ და განეფიქსირებინათ შემოქმედებითი ძალა, თანაობა და თვითმოქმედება, რომ მას შეეძლო შეექმნა პირობები კულტურულს ადგილობრივებისათვის, მაგრამ ბატონები მდგომარეობის სწორედ ყველა ამას ხელაძეგდნენ უდიდესს საფრთხეს და მავნებლობას.

დიად, ამ საკითხის შესახებ საიმოვნებოთ ისმენდნენ ვისაც კი სათქმელი ჰქონდა, იწვევდნენ მათ კომისიებში, სხვა და სხვა თათბირებზე, ყველა ოფიციალ დოკუმენტებში (რომლებსაც ჩვენ ვიცნობთ) მეტი და მეტივერტყველურად ამტკიცებდნენ ერობის საჭიროებას კავკასიისათვის, ყველა ეს ფაქტი, მაგრამ ისიც ფაქტი ვახსოვთ, რომ რაც უფრო თავგამოდებით იცავდნენ ერობას, მით უფრო გვიანდებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა.

ზემონათქვამის სწორედ გასაგებად, ვიტყვი სხვანაირად: არც მთავრობას, არც საკანონმდებლო დაწესებულებებს საჭიროდ არ მიაჩნდათ დაეჩქარებინათ ეს საკითხი.

ესლა, როგორც სწამს, ჩვენში ფიქრობენ უკეთესი დრო დადგაო. უმკველია, ერობის დაუყოვნებლო შემოღების სასარგებლოდ ესლა უფრო მეტი საბუთებია, ვიდრე უწინ იყო, მიუხედავად ამისა, მანაც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ თავის ძალაში რჩება დებულება რომ: რეფორმის განხორციელების შესაძლებლობა უკუღმა პროპორციულს დამოკიდებულებაშია მის ცხად საჭიროებასთან.

საქმის მდგომარეობის ასეთი დაფასებისაგან გამომდინარეობს ის პოზიცია, რომელიც ჩვენ უნდა დავიცვათ ამ საკითხის შესახებ.

თვითმართვლობა კავკასიისათვის მოწყობა ან დამსახურების ჯილდო კი არ არის, არამედ ერთი იმ იარაღთაგანია, ურომლისოდაც კავკასია ვერ გაუძლევა დღევანდელის მომენტის მოთხოვნილებებს, და რადგან ეს ასეა, იგი უნდა მოვითხოვოთ ყოველის ენერჯიული ურჩევად და უკან მიუხედავად. ასეთი ტაქტიკა, რა თქმა უნდა, ურჩხულურად მოეჩვენება იმთა, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ მხად იყვნენ ოლატიკი და დაეწამებინათ ყველაფრის, ვინც კი ვაბედავდა არა თუ თხოვნას, არამედ ლაპარაკსაც კი სახელმწიფოს საშინაო ცხოვრებაში რაიმე არსებობის ცვლილების მოხდენის შესახებ.

ესლა, როდესაც ეტყობა ამ წრეში თითქოს აზრი შეიცვალეს, მაგრამ მე ვეკვობ, რომ მათი ტაქტიკა არსებითად შეცვლილიყოს, სამაგიეროდ ვეხედავ საფუძვლებს შეცვალა ჩემი ტაქტიკა, განსაკუთრებით ესლა, როცა ყველაფერი ამას ხელს უწყობს.

ციმბირის ერობა (რომელიც, უნდა ითქვას, სახელმწიფო სათათბიროს არ გასცილებია), ან კიდევ ასტრახანის ერობა, რომელიც სახელმწიფო სათათბიროში კადეტების თაოსნობით ვაიდა, და რის მიხედვითაც ერობაში მონაწილეობის უფლებას მოკლებულია მთელი ერები და უდიდესი ნაწილი ადგილობრივ მცხოვრებლებსა. ესლა მანაც აღარ უნდა იყვნენ რუსეთში ხარისხებდა დაყოფილი მოქალაქენი, და თუ ხარისხები მაინც დარჩება, მაშინ ასეთის წესრიგის განმტკიცებას ვერ მოვაწერ ხელს, მით უმეტეს რომ ამისათვის საქმარისად იპოვიან დადასტურების მსურველებს.

ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც მე შემთხვევა მომეცა ამ საკითხის შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრთან თ. შერბატოვთან შელაპარაკა. მინისტრის აზრით, ესლა დრო არ არის ამ საკითხის გადაწყვეტის, რადგან საერთო დაწესებულებანი იქაც კი, სადაც დიდხანია არსებობენ, ვერ ახერხებენ თავიანთი დანიშნულების ჯეროვანად შესრულებას, რადგან მრავალი საერთო ელემენტი, სალაშქროდ არის წასული. მთავრობას მინისტრის სიტყვით, ცნობები ჰქონია, რომ მრავალ ადგილს არჩევნების მოხდენა ვერ მოხერხებულა.

სახელმწიფო სათათბიროს წევრი კ. ჩხეიძე.

ხელი მოაწერის...

სახელმწიფო სათათბიროში მთავრობის დეკლარაციის გამო კამათი დასრულდა.

რუსეთის ყოველ მოსახლე ერთა წარმომადგენლებმა თავის ერის ჰირვარამი გადუშალეს და მოთხოვნილებანიც წარუდგინეს.

ჯავაროვმა—მუსულმანებისაგან პაპაჯანოვმა—სომხებისაგან ფრიდმანმა—ებრაელებისაგან გოლდმანმა—ლათინებისაგან რამოტმა—ესტეებისაგან იანუშვიციმმა—ლიტვის დემოკრატიისაგან ფალკერზამმა—რუსეთში მოსახლე გერმანელებისაგან.

ვეძებდი ქართველის სახელსა. ვეძებდი საქართველოს დაბეჩავებულ ხალხის ათასგვარა ჰირვარამის ხუნებასა და ერის სურვილებს განცხადებასა.

ვეძებდი „ჩვენი დეპუტატების“ კარლო ჩხეიძის და აკაკი ჩხენკელის გვარებსა.

თანა ვეფიქრობდი: ნუ თუ ასეთ დროს, პატარა ერისათვის ასეთ საშინელ ხანაში, როდესაც მისი შვილი მიმართულეების განურჩევლად თავის სამშობლოს ინტერესებს უფლიან და იცავენ, ქართლ-კახეთ-იმერეთის დეპუტატები— კ. ჩხეიძე და ა. ჩხენკელი ასეთ დიად წუთში ქართველ ერის მოთხოვნილებანის მცველად არ გამოვლენ?

მაგრამ ტყუილად ვეძებდი. არ გამოვიდნენ.

რუსეთის ცხოვრების ასეთ შესანიშნავ პოლიტიკურ მომენტის დროს, შესანიშნავს მით, რომ პირველად და გაბედულად მთავრობის წინ წარუდგენენ მისი მოსახლე ყველა ერები თავის სახელებით და სურვილებით.—ქართველი დეპუტატები თურმე ჩუმად და ლაჩრულად ჩაეკტილან სავარძელში, ხმა კონიტაც არ მოიხსენეს ქართველი ხალხის წყლულები და ამ საქციელით სრულიად წაშალეს, მთელ მსოფლიოს წინაშე, ქართველი ერის სახელიც და რუსეთის პოლიტიკურ რეფერების წინაშე ჩამარხეს მისი ეროვნული სახე.

რა საყვედური ეთქმის ესლა რუსეთის წრეებს, რომელთათვის არ არსებობს არც საქართველო და არც ქართული საკითხი და ყურსაც რომ არ ათხოვენ ქართველობას?

არავითარი საყვედური! პირიქით მართალი არიან, რადგანაც არც ჩვენთვის თურმე არსებობს საქართველო.

საქართველოდან გაგზავნილი ორი დეპუტატი ამის ადისტურებს და ბეჭედს აკრავს. 19 ივლისს 1915 წელს სახელმწიფო სათათბიროს ისტორიულ კრებაზედ საქართველო წაიშალა.

და მისი წამოშლენი ქართველი სოციალისტები იყვნენ:

კარლო ჩხეიძე და აკაკი ჩხენკელი. კამათი სათათბიროში დასრულდა.

ქართველ ერს მოსარჩლე არ გამოჩნდა. ქართველმა სოციალისტებმა არ იკადრეს გამოსარჩლება ქართველ ჩაგრულ და აწიოკებულ ერისა.

მათ კვლავ ანაცვალეს ერის უმაღლესი ინტერესები თავის ვიწრო ჯგუფურ ინტერესებს მიუხედავად იმისა, რომ დღეს ყველა სხვა ერთა სოციალისტები მედგრად იცავენ თავის მშობლიურ ინტერესებს, ეს ჩვენებური ვარია.

ქართველი კონსერვატორი უფრო მონახისტი ვიდრე თვით მონახისტი უფრო ფანტაზიორია ვიდრე თვით ფანტაზია.

მოწაფე უფრო სოციალისტი ვიდრე თვით მასწავლებელი.

სოციალისტის ნასწავლებელმა და ბელადა გერმანიის სოციალდემოკრატიაში ერის განწარმის დღეებში სოციალისტური დროშა ეროვნულს ანაცვალა.

ასევე მოიქცნენ ფრანგ, ინგლის, იტალია, ბელგიის სოციალისტები.

მართო ქართველი ლილიპუტი სოციალისტები ქალაქ თავის ორტოლოქსალურ სოციალისტს პაწაწინა დროშას აფრიალებდნენ და სწორედ იგი ქვეყანას უფრო დიდათ ეჩვენებოდა ვიდრე წარწერილი აქვთ:

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტია.

და გაწაფებულად იცავენ რუსეთის მუშებს, „ებრაქიან“ რუს კაპიტალისტებს და მუდამ დღე დაღულოვად აწუხებენ რუს მინისტრებს ბურჯეებისათვის და ყველა ვიგინდარებისათვის.

ეს სახელია და აბა კარლო ჩხეიძე ამ „დიდ სახელს“ როგორ დაუთმობს პატარა ქართველ ერის მცველის სახელს?

თუნდა რომ ქართველი მუშა კენსოდეს და იღვებოდეს, თუნდა ქართველი გლეხი თავის მიწა-წყლიდან იყრებოდეს, თუნდა მთელი ქართული ცხოვრება ათხრებულ-აწიოკებული სულსაც ლეგდეს.

ჩვენ სოციალისტებისათვის ეს „პაწაწინა საკითხა“ და არც ყურადღების ღირსი.

მით უფრო, რომ იგი არც სახელს მოუხებებს და არც რუსეთის იმპერიალისტურ წრეების მკვლობას და პატივისცემას დიმიხებებს.

ქართველ ერს გინდ სამარის მიწა წააყარონ—ეს ქართველ სოციალისტებს არ აწუხებთ.

და თუ უფლებათ სხვებთან ერთად თავის წილს მიჰყოიან.

19 ივლისს 1915 წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დიად დღეს ქართველი სოციალისტები სწორედ ასე მოიქცნენ: საუკუნოდ ხელი მოაწერეს თავის მიძიმე დანაშაულს ქართველ ხალხის ეროვნულ დღევანდელ ინტერესების და მომავლის წინაშე.

დ. კახელი.

ახალი ამბავი

დებუა ა. ჩხენკელს. „საქართველოს“ რედაქციამ დეპუტატს აკაკი ჩხენკელს შედეგი დებუა გაუგზავნა:

„აღტყუებული ვიყავით თქვენს აქაურ მოღვაწეობით, აღშფოთებული ვართ თქვენი დუმილით ერთა წარმომადგენლების დეკლარაციის დროს.“

სახელმწიფოს მესამე სხდომაზე შეიტანეს საკითხი, კავკასიაში ერობის შემოღების შესახებ. ხეალ მონდება წინასწარი სხდომა საბ. სათათბ. წევრთა ჯგუფისა საერთო თვალსაზრისის შესამუშავებლად და მიწვეული არიან კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებს. საჩქაროდ შემოაქეთ კანონპროექტი გამოკვეთულა დახმარების აღმოჩენის შესახებ.

„მშური სიტყვა“. ერთდღურ გაზეთ „მშურ სიტყვაში“, რომელსაც ქართული სახელმწიფო საზოგადოება აბეჭდებდა დახარალებულ ქართველ მამულიანთა სასარგებლოდ, მოთავსებული იქნება, სხვათა შორის, წერილები ა. ფრონელისა, შიო დედაბრიშვილისა (ფრანგისპირელი), ნოე ყორღანიასი, კიკია აბაშიძისა, აკაკი ჩხენკელისა, სამსონ ფირცხალავასი და სხ. გამყიდველებად ჩაწერილებს ვახეთი და ყულაბები დაუბრავდებთ ახალ კლუბის საზამთრო განყოფილების ბიბლიოთეკაში შაბათს, 25 ივლისს, საღამოს ექვსი საათიდან.

წარმოდგენა პროვინციაში. დუშეთის სკენის მოყვარენი წარმოდგენის გამართვას აპირებენ, დუშეთში კვირას, 28 ივლისს. წარმოდგენაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია ვასო აბაშიძე, წარმოდგენილი იქნება „ჯერ დაიხილენ, მერე დაქორწილდნენ“ კომ. რ. ერისთავისა და „არც აქეთ, არც იქით“ ვოდ. ვ. გუნიასი.

ერობა ამიერ კავკასიაში. თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბა-

ზოგი დებუებით აუწყებს თბილისის ქალაქის მოურავს, რომ კანონ-პროექტი კავკასიის ერობის შესახებ სახელმწიფო სათათბიროს მესამე სხდომას წარუდგენენ. ამ საგნის შესახებ 22 ივლისს წინასწარი თათბირი ჰქონიდათ კავკასიელ დეპუტატებს და კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლებსო.

კოპერატივები სოფლად. 2 აგვისტოს სიღნაღში უნდა შესდგეს მთელი მასობრივი კოპერატივთა წარმომადგენლების საერთო კრება, რომელსაც აზერად აქვს, საერთო კოპერატიული კავშირი მოაწყოს მთელ მასრაში.

საბირო კომიტეტის წევრებმა 22 ივლისს თბილისის ვაჭართა წოდების მხრივ ამომრჩევლად აირჩიეს ა. ნ. მილოვი, რომელიც სხვა ამომრჩევლებთან ერთად პეტროგრადში მონაწილეობას მიიღებს რუსეთის ვაჭართა წოდების მხრივ სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევაში.

სოფერა. 23 ივლისს ლაზარეთში № 40 ხოლერაიანი იწვა 12 და ხოლერის მზავესი ავადმყოფობით 17 კაცი.

გადაადგები სენი. 23 ივლისს ქალაქის თავისუფალმა იწვენ: ქუთათუშაიანი 24, ხუნაიანი 11, ყვავიანი 3, საოფლიანი 4 და მუცელაიანი 5 კაცი.

საეპარქიო კომიტეტი. 22 ივლ. საქართველოს ეპარქიის მალალ ყოვლად უსამღვდელო პიტრიმის თავმჯდომარეობით, საეპარქიო კომიტეტის კრება იყო, რომელსაც დაესწრნენ გორის ეპისკოპოსი ანტონი, თბილისის გუბერნატორი ი. მ. სტახოვსკი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი პ. ა. გოთუა და სხ. კრებამ მოისმინა კომიტეტის მოქმედების ანგარიში გასულ ექვს თვის განმავლობაში, მოიწონა იგი დადგინა დაბეჭდოს შესაფერისი განმარტებით. შემდეგ კრებამ, თანხმად ბათუმის კომენდანტის, ბ. ნ. ლახოვის, შუამდგომლობისა, 820 მანეთი გადასდო ართვინის მართლმადიდებელ ტაძრის შესაკეთებლად, რომელიც მტრის შემოსევის დროს დაზიანდა. კრებამ აგრეთვე ფული გადასდო ომისაგან გამოწვეულ რამდენიმე ეპარქიის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ხოლერის მხხერაბლი. 21 ივლისს ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და 23 ივლისს გადაიცვალა განმანაწილებელ ლაზარეთის სანტარია აკაკი მიქელაძე. განსვენებული კარვად ცნობილი იყო მუშათა წრეებში, როგორც პატიოსანი და ენერჯიული მომუშავე.

სანტარული ღონისძიებანი. თბილისის პოლიკლინიკის თანაშემწემ თავროტიქიანიმ, მოქალაქე მიქაბერიძემ და ქალაქის ექიმმა ქალმა ფომინამ დაათვალიერეს ეზოები, ფურნები, საჩაიები, საკანდიტროები, სარძევეები, სახილე ღებები და სხ. კომისიამ ბევრად მოსპო დაუმწიფებელი ხილი და გვეფუბული საწივავე. ბევრი საეპარქიო-სამრევლო სახლი, კომისიის დადგენილებით, უნდა გადაკეთდეს. კომისიამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ფეხისადილეების მიღები ბევრგან გაქტილი ყოფილა და ზოგან სადენინფექციოდ წყალში გახსნილი კირი არ ჰქონიათ. სანტარულ წყის დარღვევისათვის ოქმი შეუყენეს: ვერის დამართვადილ სახლის პატრონს მიეღი-აზარაინც, გაბაშვილის შესახებვე საჩაიეს პატრონს, ფეოდოსის ქუჩაზე მეთორნე ნიკო გოგინძეს, კონდიტრების პატრონთ—ნაუმენკოს გოლოვინის პროსპექტზე და სიმონ კაციტაძეს არტილერიის ქუჩაზე.

სურხათი. 22 ივლისს თბილისში მოტანილია: ფქვილი 14 ვაგონი, სიმინდი ერთი ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 3 ვაგ., მარალი 2 ვაგ., ქერი 3 ვაგ., ზე 1 ვაგ., შენი 7 ვაგ., ქვის ნახშირი 1 ვაგ., ნავთი 10 ვაგ., ჩაი 165 ფუთი, კარტოფლი 1180 ფუთი, ბაკლაყანი 159 ფ., ახალი თევზი 120 ფ., რკინეულობა 150 ფ., საპონი 269 ფ., ლვირა 569 ფუთი.

წერილი პარიზიდან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან) წერილი გ*)

ომის დაწყების პირველ ხანებში გამოცხადებულმა მანიფესტმა დიდს მთავრის და რუსეთის მთავარსარდლის ნიკოლოზისამ კლამით აუწერელი აღტაცება და სიხარული გამოიწვია მთელს საფრანგეთში. პოლონეთს—ავტონომია, უფლებები ებრაელთ—სხვა და სხვა გვა-

*) რედაქციას მეორე წერილი არ მიუღია.

რი სამოქალაქო მტრებს მინიჭება! ყველას ცხადია—საქართველოში მთელი მნიშვნელობა ამ დაპირება-აღთქმისა, რომელსაც უნდა დაემყიდებინა მუდამ ჩაგრული და მუდამ საპროტექტორად გამზადებული ორი უმთავრესი ელემენტი ბუმბერაზ რუსეთის იმპერიისა. ამ საჯარო აღთქმას უნდა დაევიწყებინა პოლონეთსა და ებრაელთათვის ამდენის ხნით არსებული უთანხმოება, და მხარში ამოსდგომოდენ მთავრობას მოსეულ მტერთან საბრძოლველად.

ყველა გულწრფელი აქებდა რუსის მთავრობის ამ beaux gestes-ებს. ცნობილი სოციალისტი და ყოფილი თავგამოდებული ანტიმილიტარისტი გუსტავ რობერტი, რომელიც „ლა გერ სოსიალ“-ის იქამდე მივიდა, რომ მზურვალე წერილიც კი უძღვნა რუსის მთავრობის ამ აქტს და თავის წერილს სათაურად გაუკეთა Vive le Tzar! (რუს ხელმწიფეს ვაჟმარჯოსო!) და ამ წერილში ფრანგ-სოციალისტმა, სხვათა შორის, ის აზრი გამოსთქვა, რომ ეს ომი ისე არ გათავდება, რომ რუსეთის ხელმწიფემ სეფრანგეთის მეგობარი და მოკავშირე რუსის ერთ უფრო მჭიდროდ არ ჩეკროს სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეში, სახელმწიფო სეგ-ბედის გადაწყვეტაში უფრო პირდაპირ დააინტერესოსო.

რუსის ჯარის დროებითმა დახვეამ გალიკიასა და პოლონეთში და მღელვარებამ მოსკოვში, ცოტა არ იყოს, დაფიქრანა ყოველი წრე აქაურ საზოგადოებისა. და ფრანგები კვლავ გამოსთქვამენ სურვილს, მათმა ჩრდილოეთის მოკავშირეებსა და ძლიერმა თანამებრძოლმა არ დააყოვნოს აღთქმულ დაპირებათა განხორციელება და თან შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ამ უკანასკნელმა ხანის ამბებმა რუსის საზოგადოება ნამდვილ საპარლამენტო რეჟიმსა და სხვაკ პოლიტიკურ თავისუფლებისაკენ გააქანოს.

პეტიკრობენ, რომ რუსეთი ამ ეამდ იმანიოსავ მომენტი განიცდის, როგორც განიცადა 1855 წლის ომის ომისა ან და 1905 წ. რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ; ორსავე შემთხვევაში საზოგადოება ბიუროკრატისა სწვედა ყელში.—შენა ხარ დამნაშავე საერთო უბედობისა, შენ მიიყვანე სახელმწიფო უფსკრულის კარბამდეთა, და ორსავე შემთხვევაში რუსეთის ცხოვრებას ცვლილება და გაუფჯობსება დაეტყო. ახლაც, ოქტომბრისტიკა კადეტებთან თანხმობით უქილურეს მემარცხენეთ უფროდობიან და მოითხოვენ არაქც თუ სათათბიროს თავის მოყრას, არამედ

პასუხისმგებელ სამინისტროს დაწესებას, ე. ი. სცილობენ შემოიღონ ნამდვილი საპარლამენტო რეჟიმი

ლიბერალები, დემოკრატები და სოციალისტები საფრანგეთისა და სხვა მოკავშირე სახელმწიფოთა აღტაცებით თვალსაზრს ადვენებენ იმ მუშაობას, რომელშიაც ამ ეამდ გართულნი არიან რუსეთის საზოგადოების ყველა წრეებში.

საფრანგეთის ერის გულითადი ნატრი ის არის, რომ რუსეთში ამ კრიტიკულ მომენტს შინაურობაში შფოთი რამ არ მოხდეს, ყველა ერთსულოვნათ ემსახურებოდეს საერთო საქმეს, უამისოდ მოკავშირეთა ხიფათი მოვისლო. ინტერესი როგორც რუსეთისა, ისე ინტერესი მოკავშირეთა მოითხოვს, რუსის მთავრობამ ხელიდან არ გაუშვას საუკეთესო შემთხვევა და მინიჭოს დაუყოვნებლო, ნებაყოფლობით რუსეთის ერს პოლიტიკურნი თავისუფლებანი, რომელთა შესაგებებლად რუსის საზოგადოება მომწიფებულიაო.

გუსტავ ერვე კვლავ უბრუნდება ამ საკითხს, იმავე აღტაცებით კილოთი, რა კილოთიც თავისი პირველი წერილი დასწერა ომის პირველ ხანებში. წარმოვიდგინოთ,—ამბობს ერვე,—რომ რუს-მმართველმა წრეებმა მია-

ნიჭეს რუსის საზოგადოებას ის უფლება სახელმწიფოს მმართველობის საქმეში, რომელიც დასავლეთ ევროპის უფლებებს მონარქიებში მინიჭებული აქვს ხალხს. ამით მათი პრესტიჟი სრულებით არ დამცირდება; წარმოვიდგინოთ, რომ სათათბირო

აღიჭურვა უფლებით კონტროლი გაუწიოს ამ უზარმაზარ ქვეყნის მართვა-გამგეობას; წარმოვიდგინოთ, რომ სათათბირომ ხელახლა აღუთქვა ფინლიანდას, შენი ავტონომია ხელუხლებელი იქნება, როგორც ეს შეგუთა იმპერატორმა აღუქსანდრე I,

გზში და საზოგადოებაში იყო გავრცელებული ის აზრი, რომ რუსეთი ვერ გაუძლებდა ევროპის სახელმწიფოთა წესის ომს, არამედ ყველა იმ მიწებზე, რომელიც არა მხოლოდ სტრატეგიული, არამედ სპორტული საზღვრო სურსათის დამზადება. ფონ-ბოლენმა კრუპინი, რომელსაც ყველაზე მეტი ეკითხება და გავრცელებული იყო, რომ რუსეთის არტილერიის არც სრული იყო და არც კარგი, მაშინ როდესაც გერმანიის ჯარს სხვა დროს არასოდეს ხელში არ სჭერია ასეთი ღირსების არტილერია. რუსეთი დიდ სიბრძნეებს ჰაილენსონს, დასავლეთს ზარბაზნების მეფე-მეჭარხნს, თუ ასეთ პირობებში გერმანიის დადასტურების ომი გამოუტყადა.

ბ. ი. ა.

ნაჩილი ზამთრის იმპერატორი

გურია-სამეგრელოსთან და ქვემო-იმერეთთან შედარებით ზემო-იმერეთი, ამ შიმშილობის დროს, ცოტათი უფრო უკეთეს მდგომარეობაში არის. შარშან და შარშანწინ ღვინის კარგი მოსავალი იყო. გლეხებმა მოსინდის ყიდვაც შესძლეს, სხვა და სხვა გავრცელებული გასტუმრებაც მოახერხეს. წრფულს ზემო იმერეთში ვენახები მთლად განადგურდა, მთის სოფლებში აპრილში მოსულმა თოვლმა მოსინდის ვენახები. ბარ სოფლებშიც არა-ჩვეულებრივად მაისისა და ივნისის თვეების ყინვა-სიცივემ, გამაპრო ტყეები და ვაზი უნაყოფოდ დასტოვა, ასე რომ წრფულს ზემო იმერეთში ღვინის იმედით ვერაფერს ვერაფერს ვეღარ გაიშლის. ასეთი ვარაუდები მით უფრო სამწუხაროა, რომ წრფულს, როგორც შარშან და შარშანწინ, არც სიმინდის მოსავლის იმედია, თუმცა ამ კვირისთვის შეზავებულმა აბინდებმა ყინვები ძალზე გამოაკეთა მიუხედავად ამ სავალალო ვარაუდებისა ზემო იმერეთის მცხოვრებნი მაინც იმედით გამოიყურებოდნენ და მამა-პაპათა ძველ ჩვეულებას რიხიანად მისდევდნენ. ზოგიერთი ჩვენი ქვეყნის ძველი ადათების შენახვა-მიმდევრობა რომ უკლები არ არის ეს ნათლად დაგვიჩვენა „სამშობლოს“ ფურცლებზე დიდად პატივცემულმა ბ. თ. ჟორდანიამ, მაგრამ ზემო იმერეთში, ჩვენი კარგი ძველებური ადათ-ჩვეულებებიც უკლები ესმის ხალხს და ცუდი-კარგით, ამისათვის მათ ახსნა-განმარტება ეჭირება. მაგალითად, არ იქნა და არ ეშველა, რომ აქეთ მიცვალებული ისე გასვენდეს, რომ მისმა ჰირსუფაღმა ათი-თხუთმეტი თუამი არ დახარჯოს ტყუილ-უბრალოდ. სახელად ამ ორომ-ტრიას „ჰირსი პური“ ჰქვია და საქმით ლხინის პურია. ლხინი ხშირად ერთი იჯრით, სადილი იქნება თუ ვახშამი, მაინც თავდება ხოლმე და მიცვალებულის გასვენების ხარჯს ბოლო არ უნახს. დღით გასვენების ხარჯს, რომელიც სამი-ოთხი იჯრისაგან შედგება მოსდევს მიცვალებულის ხელის გახსნის ხარჯი, შვიდი პანაშვიდის ასრულება, თუმცა მცირედით, მაგრამ მიწის ხარჯით, თუთხმეტის ხარჯი, ორმოცის ხარჯი (ხანდახან თუთხმეტსა და ორმოცს ერთად იხდიან ხოლმე), წლის საკურთხი და საწლო. ყველა ესენი ერთად ორას-სამას მინეს ბევრად აღემატება. ადამიანიც ეკარგება ოჯახს და ამოდენა ხარჯიც, ხარჯი უთავბოლო და გამოუსადეგარი, კისრზე აწევა საბრალო ჰირსუფაღს. თუმცა ნათქვამია, ჩვეულებად რაჯულზე უმტიკე-სილია, მაგრამ მედგარი ბრძოლით ამ ჩვეულების მოსპობა შეიძლება ზემო იმერეთში, რომ ხალხს პატრონი და გულ-შემატეხიარე ჰყავდეს, წუთიერი სიამოვნებისა და სარგებლობის გულისათვის ზემო იმერეთის სულიერი მამები, მცირე გამოინაწილის გარდა, არ უნებარებენ თავიანთ სამწყსოს სულის საქმეების ნამდვილ მნიშვნელობას. „სულს ხორც და ძვალ არა ასხენ“—ბრძანებს მაცხოვარი, მასსადამე, მას—სულს—არავითარი ხორციელი საზრდო—არც ცხვარი, არც პური და არც სხვა რამ სანოვადე არ სჭირდება. როდესაც ამაში დარწმუნდება ჩვენი სოფლის ხალხი, მაშინ მიცვალებულის ხელნაწილი გასვენება და მისი აღაპებიც თავის თავად გადავარდება, რასაც ასე ღრმად აქვს ფესვი გადმული, განსაკუთრებით, ზემო იმერეთში.

მ. ფარცხანელი.

სოფლის სმოკრება

„შპას“ იგდირიდან ატყობინებენ: ანდრანიკი ითხოვს, რომ გამოკეტულთათვის 30 ფურცული პურია საჭიროა. „პორიზონს“ ვინიდან ატყობინებენ: „მარცხი მარცხზე მოდის. დღეს ცნობა მოვიდა, რომ ლატო და მისი 26 ახანავი ქუთონებს ამოუხრიცია. ლატოს და-კარგვა ფრიად დიდი და სამწუხარო დანაკლისია. შათახის რაიონში უმთავრესად მის სამხრეთ-დასავლეთით დიდძალი ქუთონები დასაჩაღობენ. ხმები დადის, რომ ესენი სიმეფთა სოფლებზე თავდასახსნელად ემზადებიანო.“

ვანში და მის მიდამოებში გავრცელდა სახადი, დიდძალი ხალხი იხოცება. ოტომანთა მთავრობა გადასწყვიტა, მშვიდობიანი მცხოვრებნი გაემორებინა აჯანყებულთა ცეცხლისაგან და უფრო უშიშარს ადგოვას გადაეხსნებინა. მართალია, ასეთი გადასახლება მათს მეურნეობას ზარალს მიყენებს, მაგრამ ოტომანთა მთავრობა წესიერების აღსადგენად ამ საშუალებას აუცილებლად სთვლის. „პორიზონს“ ს ბუქარესტიდან ატყობინებენ, „ოსმალეთის მთავრობამ რუმინულ ფრანგულ და გერმანულ გაზეთებში შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა: „მოწინააღმდეგე სახელმწიფოები ბრალს გედებენ თუ რატომ ვეპყრობით სომხებს ასე მტრულად: ჩვენი სამხედრო უწყებანი ყოველდღე აქვეყნებენ ახალ-ახალ ფაქტებს, რომლითაც მტრები, რომ სომხები დიდხანსა ასაჯანყებლად ემზადებოდნენ. უკანასკნელი ფაქტი ეხება შაჰინ-ყარისარინის ამბებს, როდესაც 500 სომხე ჯარისკაცმა რევოლუციონერების დახმარებით 150 ოსმალი მოკლეს და მთელი ქალაქი გადასწვეს. ყოველ შეკითხვაზე, რომ მშვიდობიანად გავათავოთ საქმე და მოვიგდეთ, სომხები ყუბარითა და ტყვიებით უმსაპინძღედოდნენ ოსმალებს. მთავრობა იძულებული გახდა უკიდურეს ზომებისთვის მიემართნა და 20 ივნისს ყველა აჯანყებულნი დაატყვევდა.“

ჩვენი სმოკრება

ორ-კვირეული კურსები სოფლის მასწავლებელთათვის.

დ. ახალ-სენაკში 15 ივნისს გაიხსნა ქუთაისის გუბერნიის მეოთხე რაიონის ინსპექტორის ბ-ნ მუხინის მეთაურობით და ხელმძღვანელობით მეთოდური კურსები სოფლის მასწავლებელთათვის. მოწვეული იყო კურსებზე სახელმწიფო ხარჯით 30 მასწავლებელი მეოთხე რაიონიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, იმათგან გამოცხადდა მხოლოდ 24. კურსები კი მეტად საინტერესოა. ესწრება ბევრი თავისუფალი მსმენელიც ორივე სქესისა. როგორც ხელმძღვანელი ბ-ნი მუხინი, ბგრეთვე ლექტორები ბ-ნი პოროჟიკოვი და მიუნცი. საზოგადოდ კარგის მიმართულებისა და ახალი მეთოდების მიმდევარნი არიან. ლექციებიც შინაარსითა და ფორმად საინტერესოა. კურსები განგრძელდება 1-ლ ავგიუსტამდე. თუმცა ეს კურსები მეტად ხანმოკლეა, მაგრამ, უმეველია, მაინც ბევრს გამოცდილებას შესძენს და დიდს სარგებლობას მოუტანს კურსისთვის. კ. ი.

კონდოლის ხანგრეს დათავადიერება

სავანებო კომისიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტისაგან დავალებული ჰქონდა დაეთავადიერებია კონდოლის ხანგრე (კახეთში). საქმე ის არის, რომ ამ ხანგრეს შიში მოეღის მდ. კისისხევისაგან, კომისიის დავალებული ჰქონდა გამოეკვლია აქვე დაეტყველებინათ ხანგრე თუ სხვაგან ვადა ენათ. კომისიის დათავადიერება ხანგრე და აგრეთვე მდ. კისისხევი. კომისია იმ აზრს დაადგა, რომ ხანგრე, ჯერ-ჯერობით მაინც, თავისი ალგას უნდა დარჩეს, სანამ ჩუმიდაყის ახალი ხანგრე (სილნალის მახრა) იმდენად გაიზრდება, რომ შესძლებს ხალხის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. რაც შეეხება იმ შიშს, რომ მდ. კისისხევი შეიძლება არ წაიკეთოს ხანგრე, ამაზე კომისია იმ აზრისაა რომ მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტმა სთხოვოს სათანადო დაწესებულებათ იზრუნონ მდინარის ნაპირების გამაგრებაზე. ეს უკანასკნელი დაწესებულებანი, კომისიის შეხედულებით, მით უფრო დაკმაყოფილებენ კომიტეტის უფამდგომლობას, რომ, ჯერ ერთი, მდ. კისისხევი არა მარტო ხანგრეს ემუქრება, არამედ მთელ კონდოლს და სოფ. კისისხევის ქვედა ნაწილს და მეორეთაც იმიტომ, რომ მთელი კონდოლისა და სოფ. კისისხევის ქვედა ნაწილის მცხოვრებნი დიდი

ხარჯის გაწევას აპირობენ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა ითავებს და თავისი მხრეზე რაიმე ხარჯს გასწევს მდინარის ნაპირების გასამაგრებლად. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა ლე-ბულოზდენე ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის ინსტრუქტორები და აგრეთვე კერძო მემამულეები.

დ ე კ ე შ ე ბ ი

სტოკჰოლმი, 20 ივნისი. ვოლფის სააგენტო, რომელსაც ჩვეულებრივ მნიშვნელოვანი ადგილები მოჰყავს ხოლმე გერმანიის ვაჭრებში დაბეჭდილი სამხედრო მიმოხილვებიდან, არაფერი გადმოუცია ომის წლის თავის შესახებ დაწერილებიდან; რადგანაც არც ერთს წერილში არ გამოკრთის გამარჯვების იმედი; წინააღმდეგ, დიდი ზარალის მიუხედავად ჯერ არც ერთი მტერი არ არის დამარცხებული. ვაჭრებიც აცხადებენ, რომ გერმანიის მაინც გამარჯვება, მაგრამ ამისათვის დიდი ძალ-ღონის მოკრება საჭიროა; გერმანელები მოსურნენ არაინ ზავისა, მაგრამ ამასთანავე ერთად საშინელი შავი ფერადებით მხატვრულ რუსეთის უმწეო მდგომარეობას ფინანსების მხრით და უკვრით, რატომ აქამდის ზავს არ ითხოვს რუსეთი, მისი წინააღმდეგობა ხომ უარობაა, რუსეთის დახსნა მთლად დალუბისაგან მხოლოდ გერმანელებთან ზავითა.

ათინა. ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე გაემგზავრა სამოგზაუროდ მცირე აზიაში და დარდანელში.

ათინა. კუნძ. მიტილინიდან მოვიდა ორი ახალი ტრანსპორტი ჯარისა, კუნძ. მელროსთან 15 სხვა ტრანსპორტი ღვას ზღვაში. ჰფერობენ კუნძულის დაქვერადმდინე დღის საქმეო. ამას გარდა მცირე აზიის ნაპირებზე 120,000 კაცს უპირებენ გადასახს, 50,000 კაცი უკვე მზად არის გადასახსნელად.

ათინა. ვენიზუელის მცხოვრებნი ვაჭრები „ესტია“ მოწინავე წერილში ამბობს: თუ ბულგარეთი სერბიის თავს დაესხა, პატრიოტულ მოკავშირე სერბებთან ხელშეკრულებისა, საბერძნეთის ხალხის პატრიოტული აკიხიანაო.

ათინა. ნევერ ფაშა 15 ივნისს გაემგზავრა კარდანელის, ადრიანოპოლის და კირ-კილისის დასათავადიერებლად. ათინა. ინგლისის წყაღველმა ბრძოლის შესაფარში დაძლეა ორი სულ უბრალო ნავი და ერთიც იალქნიანი ხომალდი სამხედრო სურსათით დატვირთული.

სტოკჰოლმი. ვაზ. „ლოკალ ანცი-გერ“ ა-ი უსაყვედურებს რუმინისა, რუსეთისა ვენიზიანო, და ამბობს: სამხედრო სურსათის რუმინით ვაზიდვას აღარა აქვს რაიმე გადაწყვეტი მნიშვნელობა. გერმანიის საბუთი არა აქვს რუმინეთის მარჩვეულის თანამდებობა ასრულოსო. ვაჭრები ხაზგასმით აღნიშნავენ ბულგარეთის მეფის სახელმწიფოებრივ სიბრძნეს და დიდს ნიჭს და ჰფერობს, ახლო მომავალში ფერდინანდი იქნება ბალკანეთის პოლიტიკურ პირობების მომწეობი. ამ მეფეს იმედს უნდა ჰქონდეს გერმანიისა და მის მოკავშირეთა დახმარებისა. უკვე ეხლა აღმოსავლეთით გერმანიის და ავსტრია-უნგრეთის ჯარები უმეგობრებენ ზურგს ბულგარეთს, ხოლო ოსმალეთი სამხრეთიდან ჰუარავს მას. ხელსაყრელი წუთები ჩქარა და ენერგიულად უნდა იქნას გამოყენებული.

პარიზი, 21 ივნისი. მთელს ფრონტზე ნაკლებ ცხოველი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ბრძოლის პირი არც ერთ მხარეზე არ შეცვლილა.

რომი, 22 ივნისი. კალდრეს ხეობაში იტალიის ჯარი კვლავ განაგრძობს მოწინააღმდეგეთა გამაგრებულ ადგილების ნგრევას. 19 ივნისს კარინიდან მოპირდაპირედ სტრედილოდნენ ჩვენ მიერ 17 ივნისს დაკავებულ მედეტას მალაობის უკან დაბრუნებას, მაგრამ უკუგდებულ იქნენ დიდი ზარალით. 20 ივნისს მოულოდნელად კვლავ თავს დაგვესხნენ სარანიკი და მონტე კვესტალტის ხაზზე, მაგრამ აგრედვე მოგვრებულნი იქნენ. დაპტებითი ცნობების მიხედვით 17 ივნისს მტერმა ფორჩელუსთან 100 დასოცილი ჯარისკაცი, 200 თოფი და მრავალი სამხედრო სურსათით დასტოვა; გარდა ამისა ტყვედ წამოვიყვანეთ 20 კაცი შემდეგ 2 დღის განმავლობაში მტრის არტილერია ფორჩელუსს ესროლა და მხმარობდა მარჩობელ ვაჭრებთან ყუბარებსაც, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ მკარა ჩააჩუმა ისინი. 20 ივნისს

სასტიკი იერიშები მოჰქონდათ კარსოს მიდამოებში მონტე-სეიბუსზე, მაგრამ ვერას ვაპხდნენ. ჩვენ ცოტათი წავიწიეთ ცენტრში. ტყვედ წამოვიყვანეთ 345 ჯარისკაცი, მათ შორის 23 აფიცერი.

სტოკჰოლმი, 21 ივნისი. სულით და ცემულ გერმანელთა აღსაფრთოვანებლად, გერმანიის ვაჭრებმა თითქმის ბრძანების მიღებით ერთ დღეს დაიწყეს წერა იმის შესახებ, რომ პოლიტიკურად გერმანიის გამარჯვებულად სდგას და მოკავშირენი არ მოეპოვება. ამიტომ, თუ გერმანიის დამარცხდა, იგი დაილუბება; მასსადამე ყოველივე ღონისძიება უნდა იყოს ნახშირი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ფოსსიზე ცაიტუნგ“-ი სწერს: უკვე ეხლა უნდა მიხვდნენ უცხო ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწენი, რომ გამარჯვებული გერმანიის პოლიტიკურად იგივე აღარ აქნება, რასაც იგი ომამდე წარმოადგენდა. ომის ძნელ დროს მარტობამ გერმანელებს ასწავლა, რომ გულჩეილობა პოლიტიკაში უკუღმართად ესმით და მეგობრებს არა სძენს არავის. გერმანიის უნდა გულქვედ გადქციეს.

პარიზი, 21 ივნისი. ვივიანმა საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებს წერილობით დაუდასტურა დელეგაციებს და მთავრობის შეთანხმება საპარლამენტო კონტროლის მუდმივ მოქმედების შესახებ.

ყოველგვარ დავალების ანგარიში გადაეცემა მინისტრ-პრეზიდენტს და სათანადო მინისტრებს. პარლამენტს ყველა ჯგუფების წარმომადგენელი კვირაში ერთხელ შეიკრიბებიან, ვივიანის წერილს წაკითხვის შემდეგ ყველა ჯგუფთა წარმომადგენლები ალტაცებით შეხვდნენ ამ შეთანხმებით გამოწვეულ ერთსულთაგანს.

ლონდონი, 27 ივნისი. ბექდითი ბიურომ გამოაქვეყნა გენერალ ჰამილტონის ანგარიში, სადაც ნათქვამია რომ ინგლისის ჯარმა 20 ივნისს იერიშები მიიტანა ოსმალთა სიმაგრეებზე და გამარჯვებით წინ მივიდა. საარტილერიო ბრძოლის და სამი ნაღმის აფეთქების შემდეგ, ათი თხრილები ინგლისელებმა დაიჭირეს. სანგრების მეორე ნაწილი კი აღებულ იქნა ხიშტებით. ოსმალებმა კონტრ-იერიშიც არ სცადეს. დახრილმა 70 ოსმალი. იეროზს შედეგად მოაკვა ინგლისელების მიერ მალაობების აღება და პოზიცი ბის შესამჩნევი გაუმჯობესება.

თიარანი. ხორასანში მყოფ ჯარის

კახეთის რეინის გემის მიმოსვლა (დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარაკვობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთლულ-კახეთ.	8 " 58 " "
ვაზიანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
სავარჯვოდან	11 " 58 " "
ბალიაურიდან	12 " 58 " "
ელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდენახიდან	4 " 12 " "
წნორის-წყალზე	4 " 44 " "

გურჯაანიდან-თბილისამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვაზიანიდან	4 " 33 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისიდან გადის:

წნორის-წყალდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელაანიდან	11 " 39 " "
ბალიაურიდან	12 " 59 " დღ.

ქარიშხალი გასაძლიერებლად გამოვიწვიე ყაზახთა პოლი უკვე მივიდა შენდნო. თიარანი. ბირჯანდის მიმართულებით რუსის ჯარმა ვაჭვანტა გერმანელების მიერ შეიარაღებული ქარავანი. გერმანელებმა ტყვიით დასტრეს ბირჯანდის ვიცე-გუბერნატორი და მოკლეს მისი ერთი მსახური.

დაჯილდოება

დაჯილდოებული იქნენ: წმ. ვლადიმერ მე-4 ხარისხის ჯვრით, ხმლით და სარტყლით მე-207 ახალბაიხეთის შტაბს კაპიტანი სამსონ ჯაფარიძე.

წმ. ანნა მე-2 ხარისხის ჯვრით და ხმლით შტაბს-კაპიტანი ანდრია ბალიაშვილი.

წმ. ანნა მე-3 ხარისხის ჯვრით, ხმლით და სარტყლით მე-207 ახალბაიხეთის პოლკის კაპიტანი გიორგი ლოლაძე და პრაფორ. ალექსი რატიშვილი.

წმ. ანნა მე-4 ხარისხის ორდენით, ზეწარწერით „მამაცობისათვის“ მე-3 კავკ. მორტირ. არტილერი. დივი. პორუჩ. ზაქარია დითაიშვილი და პოდპორ. ლეო გაბაშვილი.

წმ. სტანისლავ მე-2 ხარისხის ორდენით და ხმლით მე-206 სალიანის პოლკის პორუჩ. იოსებ ნოზაძე და პოდპორ. თბილ. ქართ. რაზმისა შალვა იოსელიანი.

წმ. ვლადიმერის მე-3 ხარისხის ორდენის ხმლით გენ. მაიორი ვასილი კვანჩაძე.

წმ. ანნა მე-3 ხარისხის ორდენის ხმლით და სარტყლით მე-206 სალიანის პოლკის კაპიტანი კონსტანტინე ანჯაფარიძე.

პოდპოლკოვნიკობა მიიღო მე-155 ყუბის პოლკის კაპიტანმა ზალდასტანიშვილმა.

წმ. ანნა მე-3 ხარისხის ორდენის მახვილი მე-4 კავკას. მსროლ. პოლკის მღ. იოანე ლიაძეს, ამავე დროს ჩარიცხეს წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენისთვის უმხვილობა.

ოქროს ჯვარი გიორგის სარტყელზედ და წმ. ანნა მე-3 ხარისხის ორდენი მახვილით მღ. ილია ლაშხს.

წმ. ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენი უმხვილობით ბათომის სამხედრო ჰოსპიტალის მღ. სიმონ ტოტიბაძეს.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შაფიაშვილი

ამიერ-კავკასიის რეინის გემის მიმოსვლა (დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარაკვობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

თბილისიდან გადის:

თბილისიდან	8 ს. 13 წ. დილ.
ნავთლულ-ამიერ-კავ.	8 " 40 " "
ნავთლულ-კახეთ.	8 " 58 " "
ვაზიანიდან	10 " 06 " "
ივრიდან	21 " 15 " "
სავარჯვოდან	11 " 58 " "
ბალიაურიდან	12 " 58 " "
ელაანიდან	2 ს. 16 წ. საღ.
გურჯაანიდან	3 " 37 " "
კარდენახიდან	4 " 12 " "
წნორის-წყალზე	4 " 44 " "

გურჯაანიდან-თბილისამდე № 7.

გურჯაანიდან	3 ს. 42 წ. საღ.
ვაზიანიდან	4 " 33 " "
თელავში	5 " 27 " "

თბილისიდან გადის:

წნორის-წყალდან	8 ს. 58 წ. დილ.
კარდენახიდან	9 " 41 " "
გურჯაანიდან	10 " 24 " "
მელაანიდან	11 " 39 " "
ბალიაურიდან	12 " 59 " დღ.

თავის მრავალნი
ამ. პეგველიძე
პუშკინის ქუჩა, საკუთ. ხაზ. № 9, ტელეფონი № 712.
განყოფილება ავლაზარში
კახეთის ქუჩა, საკუთ. ხაზ. № 7, ტელეფონი № 712.
ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. შაილდის-ში“ წვეულებიდან ახალი ქვირთის ხიზილადა, მცირე მარლიანი, შვი ხიზილადა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ლუთხა, თართი, ფარე გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინჯ და საზღვარ-გარეთის ფორმებისა ხანგრძლივ ინახება.